

ადმინისტრაციული სასამართლოს მიერ ნორმების განმარტების თავისებურება

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.¹ როგორც ცნობილია სასამართლოს ფუნქციაა გადაწყვეტოს სადაო საკითხი იმ მხარის სასარგებლოდ, რომლისკენაც იხრება კანონისა და სიმართლის სასწორი, ამასთან არამხოლოდ აკონტროლოს შესაბამისი სისტემები, არამედ ხელი შეუწყოს მათ ჩამოყალიბებასა და განვითარებას.² სასამართლო დამოუკიდებლობა არის კანონის უზენაესობის და სამართლიანი პროცესის ფუნდამენტური გარანტიის წინაპირობა. მოსამართლე უნდა შთააგონებდეს საზოგადოებრივ რწმენას მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის, სამართლიანობისა და მიუკერძოებლობისადმი.³

წინამდებარე სტატიის მიზანია სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული ნორმის განმარტების თავისებურების დადგენა. პარალელი გაკეთდება ევროპულ გამოცდილებასა და ლიტერატურაში დამკვიდრებულ მიდგომებთან.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო, ადმინისტრაციული კოლეგია, ნორმის განმარტება, მოსამართლის როლი.

1. შესავალი

სამართალი მეცნიერების კომპლექსური დარგია სადაც სამართლებრივი ნორმების თეორიების ანალიზი მიმართულია თითოეული ნორმის მცირე ნაწილაკებად დაყვანასა და შესწავლისკენ, შესაბამისად დისკუსიას იწვევს მეცნიერებში მოსამართლის მიერ სამართლებრივი ნორმის განმარტების საკითხი.⁴ პირველ რიგში, თითოეული განმარტებისას საინტერესოა, თუ როგორ დადგინდა ნორმის ჩამოყალიბებისას იდენტიფიკაციის კრიტერიუმები, რომელ ნორმასთან გვაქვს შემხებლობა და არის თუ არა სახეზე ექსტენციური რეალიზმი, რაც სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნორმის ნამდვილი ნების გამოხატულებაა.⁵ ამასთან იურისპრუდენცია აანალიზებს ისეთ სამართლებრივ ურთიერთობებს, რომლებიც რეგულირებულია შესაბამისი ნორმებით და შემადგენელი ელემენტებით. რომლებმაც მუდვიმ განახლება და განვითარებაში პოულობს საკუთარ თავს.⁶

იურიდიულ ლიტერატურაში განასხვავებენ ნორმის განმარტებების არაერთ სახეს, მათ შორის: ოფიციალურს და არაოფიციალურს, ავთენტურს, ლეგალურ განმარტებას, კაზუა-

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი, საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია Black Sea Law Group-ის მმართველი პარტნიორი. <https://orcid.org/0009-0000-0189-1763>.

¹ საქართველოს კონსტიტუცია, 59-ე მუხლი

² Bator M., What is wrong with Supreme Court, University of Pittsburgh Law Review, Vol. 51, Issue 3, 1990, 697.

³ Ethics of Judge <<http://hcoj.gov.ge/ka/>> [06.08.2023].

⁴ საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, <<http://hcoj.gov.ge/ka/>> [06.08.2023].

⁵ Walt B., Bonczek G., Scepankova E., Matthes F., Semantic Types of Legal Norms in German Laws: Classification and Analysis Using Local Linear Explanations, Law Journal Library, 43, 2019.

⁶ Narvaez M. M., Expressing Norms Theory of Norms, Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law, Vol. 25, 43-100, 2015.

⁶ Dewitt A., Classification and Restatement of the Law, Illinois Law Review, 622, 1919-1920.

ლურ განმარტებას, სუბიექტურს, ობიექტურს, სიტყვა-სიტყვით განმარტებას, გრამატიკულს, ლოგიკურს, ისტორიულ განმარტებას, ტელეოლოგიურს, განვრცობითს, შეზღუდვით⁷ და სხვა. თუმცა, საინტერესოა, კონკრეტულად რა მეთოდოლოგიას მიმართავს სასამართლო შესაბამისი ნორმების განმარტებისას, არსებობს თუ არა მეთოდოლოგია რომელსაც მოსამართლე იყენებს.

სასამართლოს განმარტება ნიშნავს სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის აზრის გარკვევას, რომელიც ხორციელდება სასამართლოში ნორმის სწორი შეფარდების მიზნით. ასეთი განმარტებები მნიშვნელოვანია ქვემდგომი ორგანოებისთვისაც. ამდენად, სასამართლო ამა თუ იმ სადავო სამართლებრივ ურთიერთობას წყვეტს შესაბამისი კანონის შეფარდების საფუძველზე, რაც ხორციელდება კანონის სწორი განმარტების, ანუ ნამდვილი აზრის გარკვევის, სიტყვათა შესაბამის წყობაში გამოვლენილი კანონმდებლის განზრახულობის ამოხსნის გზით. კანონის განმარტებას ერთგვარი სირთულე ახლავს იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმა აზრობრივად არ არის ცხადი და თანმიმდევრული, მისი პირდაპირი მნიშვნელობით გამოყენება ეწინააღმდეგება კანონის მიზანს, ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული ურთიერთობის სწორ, სამართლიან გადაწყვეტას. ამასთან, საინტერესოა უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკა, გარკვეული ნორმების განმარტების მიმართ და ამ პრაქტიკის სწორად გაგებისა და გამოყენების პრეცედენტების გამოკვეთა პირველ და მეორე ინსტანციის სასამართლოების მიერ.⁸

აღნიშნული საკითხი საკმაოდ მნიშვნელოვანია როგორც შრომით, ასევე სხვა კატეგორიის ადმინისტრაციულ დავებში. კერძოდ, ბოლოდროინდელმა სასამართლო პრაქტიკამ აჩვენა, რომ მოსამართლეების უმრავლესობა არ იყენებს საქმის უკან დაბრუნების პრეროგატივას, თუ უშულად კონკრეტული მტკიცებულება ან საქმის გარკვეული ნაწილი იმდენად შეუსწავლელი არაა რომ გადაწყვეტილების მიღება პრაქტიკულად შეუძლებელი იყოს. მეორე მხრივ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი აქტის საფუძველზე ორი გათავისუფლებული პირის საქმის განხილვისას, ერთმა მოსამართლემ ბათილად ცნო გათავისუფლება და სრულად დააკმაყოფილა სარჩელი, ხოლო მეორე მოსამართლემ ბათილად ცნო გათავისუფლების ბრძანება და საკითხის გადაუწყვეტლად უკან დაუბრუნა საქმე ადმინისტრაციულ ორგანოს. პრაქტიკაში არსებობს 2023 წლის გადაწყვეტილებები, სადაც იურიდიულმა პირმა საქმე მოიგო სამივე ინსტანციაში, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოსცა ახალი აქტი, რომელიც სრულად ბათილად ცნო პირველი ინსტანციის სასამართლომ ხოლო სააპელაციო სასამართლომ კვლავ ნაწილობრივ დააკმაყოფილა და ისევ უკან დაუბრუნა საქმე ადმინისტრაციულ ორგანოს. ნორმის მსავსი განმარტება უაღრესად საფთხის შემცველია როგორც სასამართლოსადმი მიმართვიანობის თვალსაზრისით ასევე მისი ეფექტურობის კუთხით. რომელი ვადაა გონივრული სასამართლოს მიმართვიდან საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, არაერთი დისკუსიისა და განხილვის საფუძველი გახდა თუმცა მოსამართლეზეა დამოკიდებული როგორ გამოიყენებს მისთვის კანონით მინიჭებულ დისკრეციას.⁹

⁷ თუმანიშვილი, გ. შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბ., 2012, 23.

⁸ იხ. სუსგ. №1246-821(კ-05).

⁹ აღნიშნული საქმე გასაჩივრდა საკასაციო სასამართლოში თუმცა ჯერ სასამართლოს არ უმსჯელია დასაშვებობის საკითხზე. საკასაციო სასამართლოს მიერ აღნიშნული საქმის დასაშვებად ცნობის შემთხვევაში, შესაძლოა სრულიად ახალი ფორმით ჩამოყალიბდეს მოსამართლის მიგდომა.

2. სასამართლოს საბოლოო სიტყვისა და საქმის უკან დაბრუნების პრეროგატივა

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეებზე აქვს „საბოლოო სიტყვის“ პრეროგატივა, რაც ნიშნავს, რომ თუ სადავო აქტი ეწინააღმდეგება კანონს და ის ზიანს აყენებს მოსარჩელის კანონიერ უფლებას ან ინტერესს, სასამართლო გამოიტანს გადაწყვეტილებას ამ აქტის უპირობოდ ბათილად ცნობის თაობაზე. ეს წესი მოქმედებს მავალდებულებელი სარჩელის დროსაც, რომლის ფარგლებში სასამართლო უფლებამოსილია თავისი განჩინებით მოაწესრიგოს სადავო საკითხი, თუ აღნიშნული არ საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას და საკითხის გადაწყვეტა არ მიეკუთვნება ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას.

სასამართლოს სრული კონტროლი სახეზეა მაშინაც, როცა სასამართლო საკითხის გადაუწყვეტლად აუქმებს სადავო აქტს და კონკრეტული მითითებებით ახალი გადაწყვეტილების მისაღებად უკან უბრუნებს ადმინისტრაციულ ორგანოს. თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო აქტი გამოცემულია საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების გარეშე, სასამართლო უფლებამოსილია სადავო საკითხის გადაუწყვეტლად ბათილად ცნოს აქტი და დაავალოს ადმინისტრაციულ ორგანოს ამ გარემოებათა გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოსცეს ახალი აქტი. იგივე წესი მოქმედებს მავალდებულებელი სარჩელის დროსაც, როდესაც სადავო საკითხი საჭიროებს საქმის გარემოებათა დამატებით გამოკვლევას, შესაბამისად სასამართლო ამონმებს უარის კანონიერებას და კონკრეტული მითითებით ავალებს ადმინისტრაციულ ორგანოს გამოსცეს მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი აქტი. ადმინისტრაციულ ორგანოს ამ შემთხვევაში არა აქვს საბოლოო გადაწყვეტილების პრეროგატივა რამეთუ სრული შინაარსობრივი კონტროლის უფლება საბოლოოდ სასამართლოს რჩება.¹⁰ ამასთან, სასამართლო ყოველთვის ცდილობს მიიღოს საქმეზე ისეთი გადაწყვეტილება, სადაც ყველა ფაქტი და დეტალი გამოკვლეულია.¹¹

სამართლის ხარვეზების გამოვლენა ხდება სამართალგამოყენებითი საქმიანობის განხორციელებისას, სადაც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სასამართლოების საქმიანობა, ვინაიდან სწორედ მათ განკარგულებაშია რეალური შესაძლებლობები, გამოავლინონ და დასძლიონ სამართლის ნორმებში არსებული ხარვეზები, მათი განმარტების გზით.¹² სასამართლოები ცდილობენ აღმოფხვრან სასამართლოს არსებული ხარვეზები. სამართლის ნორმის პროფესიონალური განმარტებისას მოსამართლე შებოჭილია როგორც პროცედურული (საპროცესო სამართლის პრინციპები), ისე მატერიალურსამართლებრივი შეზღუდვებით (გონივრული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება). აღნიშნული პრინციპების გამოყენების გარეშე ყოველგვარი განმარტება თვითნებობის ხასიათს მიიღებს. თუ სამართლის თუ სამართლის შესაბამისი ნორმა მოიპოვება, მოსამართლე ამონმებს მის მოქმედებას დროში და პირთა წრის მიხედვით, განსაზღვრავს სასამართლო გადაწყვეტილებებში მისი უნიფიცირებული განმარტების პირობებს. თუ მოსამართლე დაადგენს, რომ განსამარტი სამართლებრივი ნორმა არ შეიცავს ხარვეზს, გამოიყენება ადეკვატური განმარტება. სამართლის ნორმაში ამა თუ

¹⁰ ყალიჩავა კ., მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2021, 20.

¹¹ Carter F., Mechanical Details of opinion writing, Nebraska Law Review, Vol. 20, Issue 1, 76

¹² კობრეიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო – სამართლებრივი ნორმის გამარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, მართლმსაჯულება და კანონი, 2014, 11.

იმ გაურკვევლობის აღმოჩენისას გამოიყენება მისი განვრცობითი განმარტება, როდესაც ნორმა განიმარტება მის სიტყვასიტყვით მნიშვნელობაზე უფრო ფართოდ, ან შეზღუდვითი განმარტება, როდესაც ნორმა განიმარტება უფრო ვიწროდ, ვიდრე მისი სიტყვასიტყვითი მნიშვნელობაა, რის შედეგადაც ხდება ნორმის ქვემარტივი შინაარსის დადგენა.¹³ მოსამართლის მიერ განმარტებულმა ნორმამ არ უნდა დაუტოვოს მხარეებს ბუნდოვანების განცდა გადაწყვეტილების მიმართ, არამედ მისმა განმარტებამ კანონის იდეა უფრო მეტად უნდა განამტკიცოს.¹⁴

საინტერესოა ასევე უზენაესი სასამართლოს მიდგომა, სადაც ხაზგასმულია, რომ საკასაციო სასამართლოს განმარტება კაზუალურია. უზენაესი სასამართლო არ ახდენს ნორმათა აბსტრაქტულ, ზოგად განმარტებას, უკეთუ ორგანოს მხრიდან გამოკვლევას საჭიროებს დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს ნორმათა განმარტების სისწორეზე, რადგან სუბსუმციის განხორციელების უპირველესი პრობა სწორედ ფაქტობრივი გარემოებების სრულყოფის დადგენაა.¹⁵ საკასაციო პალატამ ასევე განმარტა, რომ კანონი არის კანონმდებლის მიზნის განხორციელების საშუალება და ის უნდა განიმარტოს კანონმდებლის მიზნისა და მისი განხორციელების ფარგლებში, რა დროსაც უნდა დადგინდეს კანონმდებლის ნება. კანონის განმარტება ემყარება გარკვეულ პრინციპებს: ობიექტურობის პრინციპს – რომ განმარტება უნდა ეფუძნებოდეს კანონის ტექსტის და გამოხატავდეს კანონმდებლის ნებას; ერთიანობის პრინციპს – ყოველი ნორმა წაკითხულ უნდა იქნეს სისტემურად, კანონის ტექსტის ლოგიკურ ჭრილში; გენეტიკურ განმარტების პრინციპს – გათვალისწინებულ უნდა იქნეს კანონმდებლის მიზანი და განზრახულობა. ამდენად, კანონი უნდა განიმარტოს აღნიშნული პრინციპების დაცვით. ნორმის, მისი ფაქტობრივი ელემენტებისა და სამართლებრივი შედეგების დაკონკრეტება ხორციელდება ნორმაში გამოყენებული ცნებების განმარტების გზით.¹⁶ მსგავს მიდგომით მოსამართლე ხდება დემოკრატიის „ავტორი“ და „მწერალი“ რომელმაც საზოგადოების „განათლების“ როლი იტვირთა.¹⁷

2.1. მოსამართლის მიერ ნორმის განმარტება როგორც სამართლის განვითარების წინაპირობა

მოსამართლემ არ უნდა შეიკავოს თავი, ჩართული იყოს ისეთ აუკრძალავ აქტივობებში, რომელიც ხელს შეუწყობს კანონმდებლობისა და სამართლის სისტემის განავითარებას.¹⁸ სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების თანამედროვე პირობებში, სამართლის ნორმების განმარტების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან უკავშირდება საზოგადოების სამართლებრივი კულტურისა და სამართლებრივი შეგნების ამაღლებას. კანონის განმარტება გულისხმობს კანონის ბუნდოვანი ნორმების ახსნასა და სიტყვათა მნიშვნელობის დადგენას. კანონი გამოხატავს სამართლებრივ წარმოდგენებს სიტყვებში. კანონის გაგება ნიშნავს, რომ კანონის სიტყვებს ის ზოგადი წარმოდგენითი შინაარსი მიუსადაგო, რომელიც ამ

¹³ იქვე, 13.

¹⁴ *Palmer J.*, A Definition of Law, American Bar Association Journal, Vol. 22, Issue 1, 69-70.

¹⁵ იხ. სუსგ. №ბს-309-309 (2კ-18).

¹⁶ იხ. სუსგ №ბს-942-938 (კ-17).

¹⁷ *Strawn U.*, The Judge's Role as an Educator, University of Bridgeport Law Review, 1987, 371.

¹⁸ *Dreher C.*, The Judge's Role, Judges Journal, Vol. 35, Issue 3, 1996, 16.

სიტყვებით უნდა იქნას აღნიშნული. თუ კანონი მოსამართლეს გადანყვეტილებას მიღებისას გარკვეულ თავისუფლებას აძლევს, მაშინ გადანყვეტილება მიღებულ უნდა იქნას მოსამართლის სამართლებრივი შეგნების საფუძველზე. სასამართლო ხელისუფლებისთვის სამართლის შესაბამისად მოქმედება ნიშნავს სასამართლო გადანყვეტილების მხოლოდ მოქმედი სამართლის ფარგლებში მიღებას. ნორმათა ინტერპრეტაცია მხოლოდ იურიდიული მეთოდოლოგიის საფუძველზე უნდა ხორციელდებოდეს. კანონმდებლობაში ხარვეზისარსებობის შემთხვევაში კი მოსამართლის არგუმენტაცია მხოლოდ კონსტიტუციის იმანენტური პრინციპების შესაბამისად უნდა წარმოებდეს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოსამართლე ნორმის განმარტების დროს არ არის ყოველმხრივ თავისუფალი, საკუთარი პიროვნული სამართლებრივი შეგრძნებებით თვითნებურად გადანყვიტოს საქმე. ამ დროს იგი ვალდებულია, ჯერ შემეცნების ყველა შესაძლებლობა ამოწეროს, რათა ხარვეზის ისეთი ხერხი იპოვოს, რომელიც ყველაზე რელევანტურია კონკრეტულ საქმესთან დაკავშირებით ან არსებულ სასამართლო პრაქტიკას შეესაბამება. როგორც გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა „სამართლის გამომყენებელი არა მხოლოდ კანონს, არამედ ასევე, სამართალს ემორჩილება“. შესაბამისად მოსამართლეთა მიერ სამოსამართლო საქმიანობის განხორციელების დროს ნორმის განმარტება სამართლის განვითარების ლეგიტიმურ საფუძველს წარმოადგენს, რომელიც გამომდინარეობს „სამართლის სამართლიანობის პრინციპიდან“.¹⁹

დემოკრატიულ სახელმწიფოში სასამართლოს ვალია რომ მოსამართლე მიუკერძოებლად და წინასწარი განწყობის გარეშე იცავდეს კანონს. მოსამართლის სამოსამართლო ფუნქციებს უპირატესი მნიშვნელობა აქვს მისი ყველა სხვა სახის საქმიანობასთან შედარებით, მოსამართლის უპირველესი ვალია სამოსამართლო უფლებამოსილებების შესრულება, რომელთა ძირითადი ელემენტიც არის საქმეების განხილვა და გადანყვეტილების გამოტანა, რაც კანონის განმარტებასა და კანონით გათვალისწინებული ნორმების გამოყენებას მოითხოვს.²⁰ თავის მხრივ, სამართლის ნორმის ახსნა-განმარტების აქტები წარმოადგენს პროცესს, რომელიც ყალიბდება სამი ძირითადი ელემენტის ერთობლიობით: გაგება, ახსნა და მათი აკუმულირების ახსნა-განმარტების აქტი.

სამართლის თეორიაში ახსნა-განმარტების აქტი (ინტერპრეტაციული აქტი) განიხილება, როგორც იურიდიულად მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მოიცავს დაკონკრეტებულ ნორმატიულ მიწერილობებს და მიმართულია სამართლის ნორმის შინაარსის ნამდვილი აზრის დასადგენად. ოფიციალური ახსნა-განმარტების აქტები, ნორმატიულ-სამართლებრივ და სამართალგამოყენებით აქტებთან ერთად, წარმოადგენენ სამართლებრივ აქტებს, ამიტომ მათთვის დამახასიათებელია იგივე ნიშნები, რაც ზოგადად სამართლებრივი აქტებს ახასიათებს. იმ ორგანოებმა რომლებსაც არ აქვთ სამართალშემოქმედებითი ფუნქცია, სამართლის ნორმების ახსნა-განმარტება უნდა განახორციელონ მხოლოდ ასახსნელი ნორმის შიგნით და მის ფარგლებში. დაუშვებელია მათ მიერ ახალი ნორმების დადგენა.²¹

¹⁹ ყიფშიძე შ., სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, „სამართლის ჟურნალი“, №1, 2018, 209-210.

²⁰ მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2015, 183.

²¹ მოსულიშვილი ა., სამართლის ცნება, არსი, შინაარსის შესრულების აუცილებლობა – სამართლის ავტორიტეტის განმტკიცების წინაპირობა, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, №4, 2015, 62.

საზოგადოებაში არსებობს განსხვავებული აზრი სხვადასხვა მოვლენების მიმართ, უმცირესობებისა და უმრავლესობების ინტერესები, მოწყვლად ჯგუფების ინტერესები და სულაც საკითხთა მიმართ ობიექტური მიდგომები, თუმცა მოსამართლემ იმგვარად უნდა შეძლოს ნორმის განმარტება ეთიკისა და სოციოლოგიური ასპექტების საშუალებით რომ მისმა გადაწყვეტილებამ ძლიერი და ერთიანი საზოგადოება ჩამოაყალიბოს.²² მოსამართლის მიერ მიღებულმა საბოლოო სიტყვამ არ უნდა გააჩინოს ახალი ბუნდოვანებები და გარუქვევლობა, მით უფრო მაშინ, როდესაც სასამართლო აქტს უკან უბრუნებს ადმინისტრაციულ ორგანოს განსახილველად.

სწორედ ამ პრინციპის პარალელურად ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს სასამართლოს აქტიურ როლს, რომელიც უფლებამოსილია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოსადგენად. ადმინისტრაციული პროცესი გამოირჩევა ინკვიზიციური ბუნებით, რადგან საჯარო ნორმების დაცვაზეა ორიენტირებული, რითაც იგი განსხვავდება სამოქალაქო პროცესისგან, სადაც ხდება კერძო სამართლებრივი ინტერესების დაცვა. თუ ადმინისტრაციული დავის განხილვის პროცესში სასამართლოს არ დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ არასაკმარისია საქმის გარეობების ობიექტური გამოკვლევისა და საქმეზე ობიექტური ქვეყნარტების დასადგენად, იგი თავისი ინიციატივით უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოძიებასა და გარემოებების გამოკვლევას. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ სასამართლომ შეიძლება ყურადღება გაამახვილოს ისეთ გარემოებებთან და მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეებს პროცესის მიმდინარეობისას არ წარუდგენიათ სასამართლოს წინაშე.²³

2.2. ნორმის განმარტება ადმინისტრაციულ საქმეებში მიღებული განჩინებებისა და გადაწყვეტილების აღსრულების ქრილში

მოსამართლის დისკრეციული უფლებები ადმინისტრაციული საქმეების განხილვაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და რაც უფრო დემოკრატიულია სახელმწიფო, მით უფრო იზრდება მოსამართლის როლიც.²⁴ მიუხედავად იმისა, რომ მოსამართლეს, მისთვის დაკისრებული ფუნქციის შესრულების გამო, არ შეუძლია დაიკავოს ადმინისტრაციული ორგანოს ადგილი, იგი ვალდებულია უზრუნველყოს გონივრული კონტროლი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებისადმი, კერძოდ, პროპორციულობის პრინციპი. მნიშვნელოვანია პროცესზე უზრუნველყოფილ იქნეს თითოეული უფლების მაქსიმალურად დაცულობა, როგორც აღნიშნულია ადამიანის უფლებათა ევროპის კონვენციის მე-13 მუხლში. დაცვის საშუალება უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნებს, იგი უნდა უზრუნველყოფდეს სამართლიან და სათანადო განხილვის შესაძლებლობას. შეუძლებელია დაცვის საშუალება იყოს ეფექტური თუ მოსამართლე გადაწყვეტილებას ვერ იღებს გონივრულ ვადაში. ამასთან, იგი ვერ იქნება ეფექტური თუ მოსამართლის გადაწყ-

²² Laub R., *The Judge's Role in a Changing Society*, *Judicature*, Vol. 53, 1969, 140.

²³ ღვამიჩავა თ., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017, 52.

²⁴ Schwarzer W., *Managing Civil Litigation: The Trial Judge's Role*, *Judicature*, Vol. 61, Issue 9, 1978, 402.

ვეტილება არ აღსრულდება დროულად, კანონით დადგენილი წესით. აქედან გამომდინარე, მოსამართლემ სხვადასხვა საშუალების გამოყენებით აქტიური როლი უნდა ითამაშოს მის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების აღსრულებაში.²⁵

მოსამართლეთა როლი ადმინისტრაციულ საქმეებში მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებაში უმნიშვნელოვანესია. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს (CCJE) მიაჩნია რომ პრინციპები, რომლებიც სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებულ აღსრულებაზე ვრცელდება “Mutatis Mutandis” ასევე ვრცელდება ადმინისტრაციულ საქმეებზე, იმისგან დამოუკიდებლად საქმე აღძრულია ფიზიკური პირის თუ საჯარო დაწესებულების მიმართ. სახელმწიფოში, სადაც სამართლის უზენაესობის პრინციპია დაცული, საჯარო დაწესებულებები ყველაზე უფრო მეტად არიან ვალდებული, პატივი სცენ სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს და “ex officio” ვალდებული არიან დროულად აღასრულონ ასეთი გადაწყვეტილება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ არაერთგის განიხილა მომჩივნების მიერ წარდგენილი განაცხადი, რომლებსაც ან ჯერ არ მიუმართავთ სააღსრულებო წარმოებისთვის, ან უნევთ ამ პროცედურისთვის მიმართვა. ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განაცხადა, რომ „პირი, რომელმაც მიიღო აღსრულებას დაქვემდებარებული გადაწყვეტილება სახელმწიფოს წინააღმდეგ დავის წარმატებით მოგების შედეგად, არ უნდა იყოს ვალდებული სააღსრულებო წარმოებას მიმართოს იმისთვის, რომ ასეთი გადაწყვეტილება აღსრულდეს. როდესაც იძულებით აღსრულებისთვის მიმართვა ხდება საჭირო, სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ეროვნული კანონმდებლობა ითვალისწინებდეს იმ საჯარო მოხელეების წინააღმდეგ დისციპლინურ და სიხლის სამართლის წარმოებას, რომლებმაც უარი თქვეს, ან გააჭიანურეს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება. ასეთ შემთხვევებში ასევე საჯარო მოხელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დადგეს.“²⁶

პრინციპი – „სასამართლო იცნობს სამართალს“ – გარკვეულ წინააღმდეგობებს წარმოშობს პრაქტიკაში.²⁷ იმ მხარეს როლის სასარგებლოდაც გადაწყდა დავა შესაძლოა წინ გრძელი გზა ჰქონდეს, რადგან სარეზოლუციო ნაწილში თუნდაც უმნიშვნელო ბუნდოვანებამ შესაძლოა პრობლემა წარმოშოს აღსრულების ეტაპზე. შეჯამებისთვის უნდა ითქვას, რომ სასურველია აღსრულების მექანიზმი მეტად სწრაფი და მოქნილი იყოს, რათა გადაწყვეტილების აღსრულებლობამ არ შექმნას სასამართლოს არაეფექტურობის განცდა. აღსრულების მექანიზმის გამართულობა ხელს უწყობს საზოგადოების ინტეგრირებას და ამცირებს პოტენციურ კრიტიციზმს,²⁸ რომლის საფუძველია სასამართლოს მიერ მკაფიო და ნათელი გადაწყვეტილებები.

3. ადმინისტრაციული ორგანოს აქტების განმარტება და კონტროლი სასამართლოს მიერ

კანონმდებლობის მიხედვით, განასხვავებენ იდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტსა და ნორმატიულ აქტს. იდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს

²⁵ საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია., სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, 194, <<http://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes1.pdf>> [10.08.2023].

²⁶ ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №10, 2010, 9.

²⁷ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2010, 42.

²⁸ Bridges C., Enforcing Integrity, Indiana Law Journal, Vol. 87, 2012, 1083.

ტი მიმართულია პირის ან პირთა შეზღუდული წრის მიმართ ხოლო ნორმატიული აქტი შეიცავს მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს. ადმინისტრაციული აქტით მოწესრიგებული ურთიერთობის შინაარსის მიხედვით გამოიყოფა იმპერატიული ხასიათის, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის დამდგენი ხასიათის, უფლების ან სამართლებრივი ურთიერთობის არსებობა-არარსებობის დამდგენი, პრევენციული, რეპრესიული, აღმჭურველი, შემზღუდველი, და სხვ.²⁹ აღნიშნული აქტები კი გამოიცემა ადმინისტრაციული ორგანოების მიერ.

ადმინისტრაციული ორგანო, ეს არის ყველა სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანო/დანესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანებებისა), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებას.³⁰ ამასთან, უნდა აღინიშნოს, ადმინისტრაციული ორგანოები საქმიანობას ახორციელებენ საკუთარი უფლებამოსილებისა და დისკრეციის ფარგლებში. დისკრეციული ოფლებამოსილება ადმინისტრაციულ ორგანოს ან თანამდებობის პირს ანიჭებს თავისუფლებას საჯარო და კერძო ინტერესების დაცვის საფუძველზე კანონმდებლობის შესაბამისი რამდენიმე გადაწყვეტილებიდან შეარჩიოს ყველაზე მისაღები გადაწყვეტილება. შესაბამისი გადაწყვეტილებების კონტროლი კი სასამართლო ხელისუფლების საქმიანობის სფეროს განეკუთვნება. დისკრეციული უფლებამოსილება მოიაზრება როგორც სამართლებრივად „შეზღუდული თავისუფლება“, ვინაიდან იგი შეზღუდულია დისკრეციული უფლებამოსილების ნორმის მიზნითა და ფარგლებით. საქართველოს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში ისეთი ნორმები, სადაც დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელებაზეა საუბარი, დომინირებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომელიც ეხება ადმინისტრაციულ ორგანოს უფლებამოსილებას ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ფულადი ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობის გამოყენებაზე. ასეთ ვითარებაში, დისკრეციული უფლებამოსილება შინაგანი რწმენის გამოყენების მეტ შესაძლებლობას იძლევა, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია იმოქმედოს თავისი მოვალეობის გათვალისწინებით და აღნიშნული შესაძლებლობა გამოიყენოს კანონის მიზნებისათვის და მის ფარგლებში. სამართლებრივი ნორმის ასეთი გამოყენება გამომდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს სავალდებულო პრინციპებიდან და, განსაკუთრებით, თანასწორობის პრინციპიდან. შინაგანი რწმენის არასწორი გამოყენება კი ექვემდებარება ადმინისტრაციული სასამართლოების მხრიდან გადამოწმებას.³¹

3.1. დისკრეციული ოფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები

პირველად ტერმინი „დისკრეცია“ ამერიკის შეერთებულ შტატებში გამოყენებულ იქნა 1792 წლის „ფოქსის“ აქტში, რომელმაც მოსამართლეებს უფლება, მისცა მიემართა ნაფიცი მსაჯულებისთვის და განემარტა როგორც გამოსაყენებელი ნორმის შინაარსი, ასევე, თავადაც დაეფიქსირებინა საკუთარი მოსაზრება საქმის ირგვლივ.³²

²⁹ ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005, 120.

³⁰ იხ. სზაკ-ის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

³¹ ცხადაძე ქ., კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისთვის, ადმინისტრაციული სამართალი, თბ., 2016, 11.

³² Bingham L., The Discretion of the Judge, Denning Law Journal, 1990, 27.

დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებები განეკუთვნებიან იმ ქმედებათა სფეროს, რომელთა განხორციელებაც ხდება სამართლებრივი უფლებამოსილების საფუძველზე. სამართლებრივად მნიშვნელოვანია დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე განხორციელებული ქმედებები მაშინ, თუ ისინი განაპირობებენ ვალდებულებების წარმოშობას, მოდიფიცირებას ან შეწყვეტას. ასე, მაგალითად, კონსტიტუცია პარლამენტს ანიჭებს უფლებამოსილებას, მიიღოს კანონები, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონმდებლობა ამ ორგანოებს აძლევს უფლებას, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღონ სამართლებრივი გადაწყვეტილებები. რაც შეეხება დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვას, იგი არა მხოლოდ აღმჭურველი ნორმის საფუძველზე ხდება, არამედ, აგრეთვე, სამართლებრივი კონტექსტით. კანონის უპირატესი იურიდიული ძალის პრინციპიდან გამომდინარეობს, რომ დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სამართლის ნორმებს. პირველ რიგში, კონსტიტუციური დებულება იმის შესახებ, რომ ყველა ადამიანი კანონის წინაშე თანასწორია. დისკრეციული უფლებამოსილების საზღვრები, ყოველ შემთხვევაში, ადმინისტრაციული დისკრეციული უფლებამოსილებისათვის, ტრადიციულად, თვით უფლებამოსილებით აღმჭურველ ნორმაშია დადგენილი.³³

მნიშვნელოვანი ფაქტორია გამოიკვეთოს განსხვავება თავად ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის რომლებიც ახორციელებენ საჯარო მმართველობას. საჯარო მმართველობის ორგანიზაციულ მოწყობაში მნიშვნელოვანია კონკრეტული ადმინისტრაციული ორგანოს ნების ფორმირების პროცესი. მონოკრატიულად მოწყობილი დაწესებულების ნებას განსაზღვრავს ერთი ხელმძღვანელი პირი. კოლეგიური ორგანოს შემთხვევაში გადაწყვეტილება მიიღება თანასწორუფლებიანი, უფლებამოსილი პირების უმრავლესობის ნების საფუძველზე. მონოკრატიულ სისტემაში ხელმძღვანელ პირს აქვს ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლება, ის არის აგრეთვე, დაწესებულებაში დასაქმებული პირების ზემდგომი თანამდებობის პირი. გადაწყვეტილების მიღების პროცესი არის სწრაფი და მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელი სუბიექტი ნათლად არის განსაზღვრული. კოლეგიურ ორგანოში კი მისი თავმჯდომარე არის მხოლოდ პირველი თანასწორთა შორის (*primus inter pares*). გადაწყვეტილების მიღების პროცესი კანონით არის განსაზღვრული. გადაწყვეტილება მიიღება არა ერთპიროვნულად, არამედ კოლეგიურად. აუცილებელი ელემენტია კვორუმი, რომელიც გულისხმობს გადაწყვეტილების მისაღებად სხდომის გამართვის უფლებამოსილებისათვის აუცილებელ წინაპირობას, რომ სხდომას უნდა ესწრებოდეს ნევრთა ნახევარზე მეტი და გადაწყვეტილების მიღების წინაპირობას, რომ მას მხარი უნდა დაუჭიროს სხდომაზე დამსწრე ნევრთა ნახევარზე მეტმა. მიღებულ გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებელია არა ცალკეული ნევრი, არამედ ორგანო, მიუხედავად მისი ცალკეული ნევრის პოზიციისა.³⁴

3.2. საჯარო მმართველობის კონტროლის სახეები

ცნობილია რომ არსებობს საჯარო მმართველობის კონტროლის ცალკეული სახეები, მათ შორის სამსახურეობრივი და დისციპლინური კონტროლი (ზემდგომი თანამდებობის პირის მიერ თანამშრომელთა კონტროლის უფლება); დარგობრივი და სამართლებრივი კონ-

³³ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გამოცემა, მიუნხენი, 2006, 113.

³⁴ ტურავა პ., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბ., 2020, 156.

ტროლი (ხორციელდება ქვემდებარეობის პრინციპით); საპარლამენტო კონტროლი (საქართველოს მთავრობა ანგარიშვალდებულია მხოლოდ პალამენტის წინაშე) და სასამართლო კონტროლი.

საჯარო მმართველობის სასამართლო კონტროლი განსხვავდება ყველა ზემოთ დასახელებული კონტროლის სახეებისაგან, ის უფრო მეტად მიმართულია მოქალაქის და კერძო სამართლის სხვა პირების სუბიექტური უფლებების დაცვისაკენ. აღნიშნულის მიღწევის მთავარი გარანტია არის სასამართლოს დამოუკიდებლობა ხელისუფლების სხვა შტოებისაგან. ამავე დროს, სარჩელები ადმინისტრაციული აქტის ბათილად ცნობის ან ასეთი აქტის გამოცემის თაობაზე, ინდივიდუალური უფლებების დაცვის გარდა, თანმდევ შედეგად საჯარო მმართველობის კანონიერების ობიექტურ შემოწმებასაც გულისხმობს. ხოლო თუ მოცემულ საქმეში მოსამართლე აღმოაჩენს დანაშაულის ნიშნებს, მაშინ მას უფლება აქვს შემდეგი რეაგირებისათვის მიმართოს შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს. აქვე გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოება, რომ სასამართლო ყველა შემთხვევაში არ არის უფლებამოსილი შეამოწმოს სადავო აქტები. სასამართლოში საჯარო მმართველობის კანონიერების კონტროლი უნდა განხორციელდეს ხელისუფლების დანაწილების პრინციპის სრული დაცვის პირობით. ქართული სამართალი მხოლოდ გარკვეულ გამონაკლის შემთხვევებში უშვებს ე.წ. „პოპულარულ სასარჩელო“ უფლებამოსილებას (მაგ., გარემოს დაცვის სფეროში). ამ თვალსაზრისით, ქართული სამართალი უფრო ფრანგული მოდელისკენ არის ორიენტირებული (რომელიც იცნობს ინტერესზე დაფუძნებულ გაფართოებულ სასარჩელო უფლებას) და განსხვავდება გერმანულ სამართალში დამკვიდრებული დაცვის ნორმის პრინციპზე დაფუძნებული სასარჩელო უფლებამოსილების მოდელისაგან (რომელიც გერმანულ სამართალში კომპენსირებულია გარემოს-დაცვითი ორგანიზაციების ალტრუსიტული სასარჩელო უფლებით).³⁵

4. დასკვნა

განმარტების შედეგი უნდა იყოს ნათელი, გასაგები, ცხადი, დასკვნის სიზუსტეში არ უნდა იყოს შეტანილი არანაირი ეჭვი. განმარტება არ ქმნის ახალ იურიდიულ დებულებებს, ის იძლევა ზედმეტ ცოდნას. განმარტების შედეგი განსხვავებულია იმის მიხედვით, თუ როგორი თანაფარდობაა ნორმის ტექსტუალურ გამოხატულებასა და მის ნამდვილ შინაარს შორის.

საკასაციო სასამართლოს პრაქტიკის ანალიზი სრულ საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ყველაზე უფრო ხშირად საქმის მნიშვნელობა სამართლის განვითარებისთვის განპირობებულია ხარვეზით კანონმდებლობაში. იმის გათვალისწინებით, რომ საკასაციო სასამართლო შეიქმნა არა მხოლოდ ინდივიდუალური, არამედ ასევე საჯარო ინტერესების დაცვის მიზნით, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება, ისე როგორც სამართლის განვითარება, საკასაციო სასამართლოს საჯარო მიზნის რეალიზაციას ემსახურება.

განმარტებების ხერხის იერარქია არ არსებობს, არსებობს გონივრული ნაბიჯები: გრამატიკული განმარტება, სისტემური განმარტება და ტელეოლოგიური, საჭიროების შემთხვევაში ისტორიული (ნორმის მართლზომიერება როცა დგება ეჭვ ქვეშ), საკანონმდებლო და სასამართლო განმარტება. შეფარდების პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებლის განმარტებას (დეფინიციური ნორმები, ზოგადსავალდებულო ძალის). სასამართლოს განმარტება კი არაა კანონი და მას მოსამართლე იყენებს ნორმის განუმარტავად. თუ კა-

³⁵ *ყალიჩავა კ.*, ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ., 2018, 362.

ნონის განმარტება უსამართლო შედეგს იძლევა, მაშინ ის უნდა განიმარტოს სიტვის მნიშვნელობის საწინააღმდეგოდ.³⁶

ბიბლიოგრაფია:

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, 14/06/2023.
2. საქართველოს კონსტიტუცია 29/06/2020.
3. თუმანიშვილი, გ., შესავალი საქართველოს კერძო სამართალში, თბ., 2012, 23.
4. კობრეიძე ლ., ზოგიერთი სამოქალაქო – სამართლებრივი ნორმის გამარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, მართლმსაჯულება და კანონი, 2014, 11.
5. მოსულიშვილი ა., სამართლის ცნება, არსი, შინაარსის შესრულების აუცილებლობა სამართლის ავტორიტეტის განმტკიცების წინაპირობა, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, №4, 2015, 62.
6. ტურავა პ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, 2005, 120.
7. ტურავა პ., ადმინისტრაციული წარმოება საჯარო სამსახურში, თბ., 2020, 156.
8. ყალიჩავა კ., მართლმსაჯულება და კანონი, თბ., 2021, 20.
9. ყალიჩავა კ., ადმინისტრაციული მეცნიერების სახელმძღვანელო, თბ., 2018, 362.
10. ყიფშიძე შ., სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის წყარო, სამართლის ჟურნალი, №1, 2018, 209-210.
11. ლვამიჩავა თ., საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პოცესში, (შედარებითი ანალიზი), სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017, 52.
12. ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში სადისერტაციო ნაშრომი, 2010, 42.
13. ცხადაძე ქ., კონსტიტუციურ-სამართლებრივი პრინციპების რელევანტურობა ადმინისტრაციული სამართლისთვის, ადმინისტრაციული სამართალი, 2016, 11.
14. ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მე-10 გამოცემა, მიუნხენი, 2006, 113.
15. მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და მისი კომენტარები, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ) 2015, 183.
16. ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭო, დასკვნა №10, 2010, 9.
17. სუსგ №1246-821(კ-05), 2006 წლის 4 აპრილი.
18. სუსგ №ბს-309-309 (2კ-18), 2019 წლის 10 იანვარი.
19. სუსგ №ბს-942-938 (კ-17), 2018 წლის 12 აპრილი.
20. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, სამართლიანი სასამართლოს უფლება, თბ., 2001, 194, <<http://old.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/mosamartleta.qcevis-wes1.pdf>> [10.08.2023].
21. საქართველოს სამოსამართლო ეთიკის წესები, <<http://hcoj.gov.ge/ka/>> [06.08.2023].
22. Walt B., Bonczek G., Scepankova E., Matthes F., Semantic Types of Legal Norms in German Laws: Classification and Analysis Using Local Linear Explanations, Law Journal Library, 43, 2019.
23. Bator M., What is Wrong with Supreme Court, University of Pittsburgh Law Review, Vol. 51, Issue 3, 1990, 697.
24. Bingham L., The Discretion of the Judge, Denning Law Journal, 1990, 27.
25. Bridges C., Enforcing Integrity, Indiana Law Journal, Vol. 87, 2012, 1083.
26. Carter F., Mechanical Details of opinion writing, Nebraska Law Review, Vol. 20, Issue 1, 76.
27. Dewitt A., Classification and Restatement of the Law, Illinois Law Review, 622, 1919-1920.
28. Dreher C., The Judge's Role, Judges Journal, Vol. 35, Issue 3, 1996, 16.

³⁶ ხუბუა გ., სამართლის მეთოდები, თბ., 2018, 1.

29. *Laub R.*, The Judge's Role in a Changing Society, *Judicature*, Vol. 53, 1969, 140.
30. *Narvaez M. M.*, Expressing Norms Theory of Norms, *Journal for Constitutional Theory and Philosophy of Law*, Vol. 25, 43-100, 2015.
31. *Palmer J.*, A Definition of Law, *American Bar Association Journal*, Vol. 22, Issue 1, 69-70.
32. *Schwarzer W.*, Managing Civil Litigation: The Trial Judge's Role, *Judicature*, Vol. 61, Issue 9, 1978, 402.
33. *Strawn U.*, The Judge's Role as an Educator, *University of Bridgeport Law Review*, 1987, 371.
34. *Walt B., Bonczek G., Scepankova E., Matthes F.*, Semantic Types of Legal Norms in German Laws: Classification and Analysis Using Local Linear Explanations, *Law Journal Library*, 43, 2019.